ეროვნული ეპოქა

ფასი 50 მ.

№ 56

1921 წ.
იანვრის 16

„ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო“

კოტე. რა მიგაქვს, ვანო, ამ გოდრით?

ვანო. სიმინდი.

კოტე. სად მიგაქვს, ბიჭო?

ვანო. თეშში. ჩემი ძმა ჯარშია. სურსათი სჭირია. ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო.

L-5781

ფრთხილათ, ქართველო!

ნერწყვ მოდენილი!
კბილ დაღრჭენილი!
როგორც მშიერი, მსუნაგი მგლები,
გარე გვარტყიან,
ძმაო ქართველო,
შურით ალსავსე ჩვენ მეზობლები.
სხვა და სხვა ტომის,
სხვა და სხვა რჯულის!
ერთად,—„კომუნისტ-ბოლშევიკები“.
იბღვირებიან!
იგინებიან!
იბერებიან, როგორც ტიკები,
მადა მოსულნი!
ცოდვით ორსულნი!
მუხანათობით, ღალატით ხშირი...
დღეს ზავს შეჰკრავენ!
ხვალ წიხლს წაჰკრავენ!
იმათ ნავთი აქვთ, ჩვენ, კი ნახშირი!
„საკომუნისტო“
საბრძანებელში
ჩანთქეს, რაც მოხვდათ ჩასახანსლავი!
სამი ქვეყანა
ჩვენად მეზობლად
უდაბურია, როგორც საფლავი!
დღეს, მტაცებლური
იმათი კლანჭი
შენ გითვალთვალებს, ძმაო ქართველო,
და თუ აქამდე
ვერ მორწყო სისხლით
შენი ლამაზი სამშობლოს მდელო,
იცი ვინ არის
ამის მიზეზი???
შენი გვარდია!! შენივე ჯარი!!!
ისინი სდგანან
ამ ზამთრის სუსხში
სადარაჯოზე, ვით კლდის საფარი!
იგი სდარაჯობს
შენ კარ-მიდამოს,
დიდთა უდიდეს შენს მონაპოვარს:
თავისუფლებას!
თანასწორობას!
შენს ბაღს, შენს ყანას, მინდორს, საძოვარს!
იგი სდარაჯობს
შენს დედას, ცოლ-შვილს,
პირისუფლებზე შენსაზე ზრუნავს;
ის იქ ეცემა
გულ განგმირული...
მისი სიკვდილით შენს სიკვდილს თრგუნავს!
და... რომ შეირყეს
რკინის კედელი
ქართველი ჯარის და გვარდიისა.
მკვდარი გვამები
მოჰფენენ მდელოს
საგაზაფხულო ნაცვლად იისა.
შენი სახლ-კარი
ცეცხლს მიეცემა,
შენი დოვლათი ამ. მძარცველ მგლებსა,
იქ, ჩვენი ქვეყნის
სანაპიროზე
რომ დარაზმულან... ჩვენ მეზობლებსა!!!
გაიძარცვები,
ისე, ვით სხვები...
ადრეხან ბაქო, დღეს ერევანი;
კომუნისტურად
მოინათლები
„ჯუკურე“ ქუდი და მისი ჯანი.
კვლავ დაგადგამენ
მონობის უღელს,
უხეში ჩექმა ჩაგწიხლავს, ძამო!
გაჰქრება შენი
თავისუფლება,
ჩაგიმწარდება ყოფნა საამო.
ფრთხილად, ქართველო!!!
ჯარს და გვარდიას
ალერსი ძმური! ძმური ულუფა!!
თუ გინდა დარჩე
თავისუფალი!!!
თუ გინდა შეგრჩეს სამშობლო ტურფა!
ხახა გამშრალი!
კბილ დაღრჭენილი!
როგორც მშიერი, მსუნაგი მგლები,
გარე არტყია
სამშობლო მხარეს
მოსაზღვრე ჩვენი, ძმავ, მეზობლები.

კარგი სიზმარი

ეს ამბავი სულ ესლა ხან მოხდა, რაღაც ორი თვის წინად.

კირილე ქურჩედაშვილი (ჩვენი ია კინოს დვეძლი ბიძა, ექვთიმე ხუციესს რომ შარშარწინ ანაიოთრის კალთა ჩამოახაა ნათლობაში) ხიმინდს არჩევდა.

— რაცხა ხუთასი ტარო დამრჩა გასარჩევი და გათავდა, — ეფქრობდა კირილე: მადლობა ღმერთს, რომ ნაგდვ — ნაწყვეტებმა ეშველა არ ჩამიარა: სიტოცხლე გაქვს, თავი დავიკენი ჩემ შეზობლებს! მე მაჯობებს ტკბეთ ბლახა ოქროპირა? ვითომ, დიდი ქვეყნის ერთგული კაცი ვარო, რაცხა ხუთი ტარო სამინდი მოუვიდა და, ამ ხუთ ტაროში ნახევარი მთავრობის მაარიგა! მე, ჩემი ბიძაა, სამოწყალოდ გასაცემი სარჩო სამაგალითო ვინ მომცა? მთავრობა უჩემოოაც კარგათ მოაწყობს საქმეს. სულელია კი არა ვარ, კი და ავი რომ ვერ გავარ-ჩიო: რა ბირობაში მიეცე მთავრობას, თუ ის კაცი ორჯერ მეტ თვისს მაძლევს? ერთ ტარასაც ვერ წაიღებს ჩემგან მთავრობა! სანეკ ფანტი — შეეულანტი მე არ ვიცი! ვინც შეეთეს თვისს მაძლევს, იმან წაიღოს! საქმე გათავებუ-ლია: სადაცაა მოვა ტომრებით და წაიღებს...

ამ ფიქრებში კირილეს სიფხიზლეს ეძინა და შეუმჩნევლად ჩაეძინა.

ვნახოთ, შეცვლ ტარიებმა რაღაც შრომადი დაიწყეს და ამოძრავდენ. ეგზეზეგ ერთობაშად ზეზე წამოტეეგენ.

— ჭკა მაგასო! დასძახეს უცებ ტარიელებმა და ოერიშით წამოგიდნეს კირიდესკენ.

ზოგი თავზე აატოცდა, ზოგმა კალთის ნაგვა დაუწვეს, ზოგი ზურგზე შეაჯდა და დაუწყეს ულაფდად ჩქმეტა და დიტინი.

კარგა რიგ ოჯურეს გული, ჩამოშორდენ და...

... დარიგით ჩამწკრივდენ სამხედრო რაზმის კიდაზე. ერთმა მათგანმა რაზმს უფროსობა იკისრა.

— ამხანაგებო!. დასძახა მან: ჩვენი პატრონი—კირიდე ქურჩელაშვილი ვიდაც სტუდიანტზე გმეიდის ჩვენ, პატიოსან სიმანდებს! დავუმტკიცოთ ამ ვაკაბატონს, რომ მან თუ არა, ჩვენ მაინც ვიცით მოვალეობის შესრულება. სმე-ე-ენა! ნაბიჯით წინ... წა!

და სიმინდების მწეობრი ერთი კაციგით დაიძრა თავის მინისტრისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომარაგების მინისტრმა დიდის ზეიმით მიიღო ქვეშევრდომები: ნესვის ტახტზე იჯდა და უველა თავისი რეგალიები ზედვე ჰქონდა: მარჯვენა ხელში ეჭირა მშვენიერი კომბოსტოს თავი, მარცხენაში სკიპტრა კიტრისა, გულზე ეკიდა საუცხოო ბოლოკი ლობიოს ძაწკვზე ჩამობმული, თავს გოგრის გვირგვინი უმშვენებდა. ეროვნული მსახური სტეფიდო გულ-მოდგინეთ და მოწიწებით უგრიდებდა ჭაერს ბურის თავთავებით.

რაზმის უფროსის მოხსენება რომ მოისმინა, მინისტრმა ბრძანა:

— მიიღეთ, ბატონო ტარიელო, ჩემი გულითადი მადლობა იმ ჭეშმარიტად მამულიშვილურის საქციელისთვის, რომელიც თქვენ ჩაგიდენიათ. თქვენი ეროვნული უდიერსი ბატრონი კირილე ქურჩელაშვილი დაისჯება ანონის ძალით, ხოლო თქვენ, როგორც შეგნებული და თავდადებული სიმინდები, გამომირჩევიხართ სხვა თქვენს ამხანაგებში: ამიტომ მე თქვენ არ გაგიდრეკ ძველსა და ჭუჭვიან ტომრებში ჩაყრას. ეს თქვენი შეურაცყოფა იქნებოდა: წადით პირდაპირ ფერონტზე, სწორედ ისე, როგორც ჩემთან მოხვედით და გაახარეთ ჩვენი ჯარი და გვარდია.

გაისმა ერთსულოვანი ძლიერი „ვაშა“ სიმინდებისა და დაშქარი ფერონტისკენ დაიძრა.

დიდი ადტაცება გამოიწვია ს. მინდის ჯარის ფრონტზე მისულმ ჯარი და გვარდია მუსიკით შეხვდა მათ.

— აი, მოგსულვარო თქვენთან, ძმებო, მიაძახა სიმინდის რაზმის უფროსმა ჯარს; მოგსულვართ და გვეწყინეთ.

— ვაშა!— დაიგრიალა ბასუსათ ჯარმა: ვაშა სიმინდეს და ძირს მათი ეოფილი ბატრონი კ რიდე ქურჩულა-შვილი!

ასეთ სიზმარში იყო კირიდე ქურჩულაშვილი და ძილში საშინლად ხვნეშოდა. გაიღვიძა მისი ხვნეშა შვილმა, შეეკრა მამასთან და კაკვეძა. კირიდე დამეფთხალი თვალებით მიაჩერდა სიმინდის „კალოს". ემეფოფერი თავის რიგზე იყო.

— მამა, რა დაგემართა? ჰკითხა შვილმა.

— ნუდარ მკითხავ, შვილო! ისეთი საოცარი სიზმარი ვნახე, რომ ესლაც ვერ მოგსულვარ ჭკუაზე.—და კირიდემ დაწვრილებით უამბო შვილს სიზმარი.

— ესლა კი ვიცი, ვისაც უნდა მიეყიდა ჩემი სიმინდი!—დაამთავრა კირიდემ: ოდონდ ეს კია, იმ ვაჟბატონს რადა ვუყიდრა, ამ ყუთში რომ გამოტხვდება სიმინდის წასაღებათ!

— მაგისი ღიქრი ნუ გაქვს, მამა: ეს მე მომანდე!—უპასუხა შვილმა.

— მოიტანთ, ჩემი სიმინდი! — ბრძანა სპეკულიანტმა.
— მიბოძეთ ერთი ის ტომარი, ხელში რომ გიჭირავთ, და ახლავე მოგართმევთ. — უპასუხეს მამაშვილმა.

გაშორთვეს ტომარი, ჩაუშვეს შიგ ქირამდე ბატონი სპეკულიანტი და მაგრად მოუკრეს თავი.

სიმინდი სამხედრო ფრონტისკენ წავიდა.
სუბალტერნი ტომარა კი — შრომის ფრონტზე მიათრიეს, ყარაიაზში.

ხალხური.

I.

„არასოდეს არ გახმება წყალთა შუა ხეთა ძირი!
არასოდეს არ ცხონდება:
კრიჟანგი
და
პურა-ძვირი.
(თუ კრიჟანგი ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი)“.

—

P. S. როცა მტერი გვახვევია, მუხანათი და დუხჭირი.
როცა სამტროდ ჩამოწოლილს დაუღია ვეშაპს პირი,
კრიჟანგებს და პურაძვირებს
დიდიც არის ერქვას ვირი.

—

II.

ხალხს უთქვამს დარბაისელსა:
„მუცელს აქორებ,— ქორია“
კვლავმცა აღორებ ღორულად
მუცელი იგი,—ღორია!“

—

P. S. ესე თქმულება დედანთან
სიტყვით სიტყვათმდე სწორია:
პირველის მიმდევარობა
ვაჰმე რა დიდი ზორია!!
სამაგიეროდ მეორე
ოცთაგან, ოცდა ორია.

III

„კაცი მოკვდა პურა-ძვირი; წაახვევენ ტილოსაო,
მოსთხრიან და ჩააწვენენ;—ემანდ ეგდვ, შვილოსაო!
ვინც შენდობას შემოუთვლის, ღმერთმა შეარცხვინოსაო“.

„ქურდი“

შვილი. მამა! სულ რომ შენ ინახავ წდეგანდელ ჭირნახულს, მთავრობას კი არ უნდა მიჰყიდო ჩვენი ჯარისა და გვარდიისათვის?

მამა. შენ ეშინდ ეგდე! შენი საქმე არ არის. მთავრობა ბირაქეთ უნდა მაძლევდეს, თორე მე რა უნდა მივცე?

მამა. ბიჭო! ვინ ოხერი ეოთვილა ჰქა! ვის უცოდვიდია ამ ორმოსთან? ერთი დავუდარაჯო!

მამა. დასწყევლოს დმერთმა! ჩემი შვილი მოდის გოდრით! ეს რას ნიშნავს? ნუ თუ ეს იპარავს? ვნახოთ რას იზამს?

— ამოთ!ვრა!

— ბოდიშში ჭერის!

— წაიდა! დაიცა, დაიცა! კვლ და კვლ ბაშაები და ყველაფერს ბაგიგებ... მაგას ვაუურებინებ სეირს!

— სად მიაქვს ამ სიშორეზე? მე მუხლები მეკეცება ისე დავიდაღე და ეს საძაგელი ჩიტივით მიფრინავს! მაგ ოჯახქორს დედა არა ჰყოლია ქურდი და მამა!.. რა დმერთი გაუწყრა?

მამა. (ხის უკან) დმერთო, შენ შემაწყალე! ამას რას ჭვრეტავ! ფრონტზე მიიტანა. აი, გადასტა კიდეც ჯარის კაცს. ჩუ! რადგანს ეუბნება.

შვილი. (ჯარის კაცს) აი, ძია! ეს ერთი გოდორი სიმინდი, მოგიტანე! მამამ გამოგიგზავნა! ასე შემოგიფალა ყველას, თქვენ არხეინათ იყავით, მტერს მტრულათ დაუხვდით და მოეგრობა ჩვენი საქმე იოხსო. ეხლა ეს იემარე და კვლავ კიდეკ სხვა იოხსო!

მამა. დმერთო ჩემო, ეს რა სიტყვები მესმის! სად და გამოგვეო თავი სირცხვილით! ეხლა კი ვიცი, რაც უნდა ვქნა!

მამა. (ფეხ ქვეშ ჩაუვარდება ჯარის კაცსა და შვილს) მაპატიეთ! შემინდეთ! ბრმა ყოფილი და თვალი ამეხილა, ყრუ ვიყავი და ეურთა სმენა გამეხსნა! ეხლა ვიცი, რაც უნდა ვუყო ჩემს სიმინდს. შხამად შემერგოს, თუ ერთი ლუკმა ჩავიდო პირში, ვიდრე ფერონტისათვის არ გავადებ საწირო ნაწილს!

შექანჯალებულის ლექსები.

ჰა...ჰა, ჰა... რაღაც მაცინებს...
რამ ამირია დავთარი?!
თარზე მსურს დავალიანო.—
მოდი, დაუკარ დავ, თარი!!

—

საოცარ ლექსებს დავამღერ,
სიმნი შემიწყვე დურათა;
გეტყვით რამ შემაქანჯალა,
ჭკუაზე შევცდი თუ რადა.

—

თქვენ ალბათ ძლიერ გაკვირვებთ
მე რომ გოგრაში მაკლია,—
—რავქნა, ძმავ, ისე ვერ გითხარ
შენი ცოდვები, ნაკლია.

—

აბა, ჰე, თარო დაუკარ,
ვინძლო სიმები შემიწყო,
მინდა რაც ტვინში მრქენს და მკბენს
ერთობ ქვეყანას ვაუწყო:

—

დათვები ადის ალვაზე,
ველარ უძლებენ ტოტები,
ჩვენს ირგვლივ კიდევ დაძრწიან
მგლები, სვავები, ჭოტები.

—

ჰა, ჰა, ჰა... საცივს უხდება
ნიგვზის წვენი და ქინძები,
საზღვრებზე როგორ მომდგარან
მშიერი მამლაყინწები...

—

შენ რომ ჩურჩხელა მაჭამე,
რა ტკბილი იყო, ბიცოლა!
ციხე შიგნიდან არ გატყდა,
გარედან უწყეს მიწოლა..

—

ციხეს შიგნიდან ვერ გატეხთ,
და ვერც გარედან აიღებთ,
ნეტავი, ნისკარტწითლებო,
შარზე ხელს როდის აიღებთ.

—

ძვალი რომ გადმოისროლე—
—იგი ჩემ ძაღლმა გატკვირა.,
არც გემო ჰქონდა, არც ქონი,
მურიაც ვერ გააკვირვა..

—

აბა, ჰე, საზღვრებს გაავლეთ
სვავებო ხაზი, მწკრივები...
იქ გიდარაჯებთ, იცოდეთ,
ბასრ ბჭყალა მძლე არწივები.

—

ჩვენით გაძღომას თუ ფიქრობთ,
დაგიწვრილდებათ წელები,
ჭილ-ყვავნი ყანას რას აწყენს,
თუ რომ ყავს კარგი მცველები.

ჩვენც ვენაცვალოთ ჩვენს გმირებს,
ჩვენს ამაყს, ფხიზელს მცველებსა,
ზურგი უმაგროთ, რომ თავი
სულ დაუჭეჭყონ გველებსა.

—

ჩვენი ფიქრი და ოცნება
გმირნო, თქვენ გიკავშირდება,
ალარ მოგაკლებთ ზრუნავსა,
სხვა რითი გაგიჭირდება.

—

ვინც ჩვენთვის სწირავს სიცოცხლეს,
მრავალჯერ ჭირნახულია,
შევრცხვეთ, თუ მათთვის შეგვშურდეს
სოფლელებს ჭირნახულია.

—

პურით, ქერით და სიმინდით
ვაგონი დაიტვირთება,
არ მოგაშივებთ ჩვენს მხედრებს,
მტერს დედა აუტირდება.

—

პურით, ქერით და სიმინდით
მაგრა დაეტენით ტომრებსა,
თუნდ ჩვენი ზურგით მიუტანთ
ჩვენს მამაც, გმირს მეომრებსა.

—

წავუღებ... თვალებს მოვალხენ
მათ სივაჟკაცის ნახვითა!
გოდრებს დავტენი, არა მშურს,
კომბოსტოთი და ხახვითა.

—

მეც მომენატრა იმათთან
ღვინო ვსვა, დავიღიღინო...
რუმბებს ავაყვავებ პირამდის,
რომ არ მოაკლდეთ მათ ღვინო...

—

თანაც გოდორზე დავაკრავ,
ინდაურს, ხაჭაპურებსა.
რომ ჩვენ ბიჭების ზეიმზე
ნერწყვი სდიოდეთ ტურებსა.

თუნდაც მარტამდე არ მიმყვეს
ხორბალი,—ჭირნახულია.
არ დავიშურებ, გენაცვათ,
არ დამეწვება გულია.

—

პურით, ქერით და სიმინდით,
ღომით და კარტოფილებით,
დავტენით ტომრებს პირამდის,
ზოგს ხორბლით, ზოგსაც ფქვილებით.

—

და როგორც თქვენა, ტომრებიც
იმ რიგად დარაზმულია,
სოფლიდან თქვენსკენ გამოსწევს
სიამით ფრთებ შესხმულია...

—

იმხიარულეთ, ილხინეთ,
გალაღდით, გახდით მდევებათ,
და მტერს, თუ ზურგი აჰქავდეს,
შეუბრალებლად შევებათ.

—

ჩვენ-ჩვენი საქმე, თქვენ-თქვენი
ვაკეთოთ ძმავ ერთგულადა.
მოყვარეს მოყვრად გაუხვდეთ,
და მტრებს ვეკვეთოდ მტრულადა.

—

აბა, ჰე, ჭირნახულებო! წინ, წინ!?
მოგროვდით ფრონტებზე,
მალე ყინულიც დადნება,
გადმოანათებს მზე მთებზე.

—

საპოსტნე მიწა დავბაროთ,
დავთესოთ კამა, ქინძები
ჩამოუქროლებს ალალი
გაჰქრება მამლაყინწები

—

დათვები ადის ალვებზე,
მაგრამ უტყდებათ ტოტები,
არწივი როცა ფრთებს გაშლის,
რას იქმს ლამურა, ბოტები?!.

შექანჯალებული.

ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ.

ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲐ! გამარჯობა ბიჭო ესიკავ.

ᲔᲡᲘᲙᲐ! ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო კაპიტო! რავა გაკვირებული მიმზერი?

ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲐ! მართლა ქე გამაკვირე ამ დილას ესიკავ! კითხვა მინდოდა და ქე მომასწარი... საით მიხვალ კაცო ამ დაკვირთული ცხენით ამ ალიონზე, რა მიგაქ მაგ ტომრებით! პარასკევობაზე თუ მივა მეთქინ ვიფიქრე ერთი პირი, მარა დღეს ხომ ხუთშაფათია. გასაყიდი ხომ არ მიგაქ რამე კაცო?

ᲔᲡᲘᲙᲐ! რას ეხუმბრები თუ ღმერთი გწამს, როის იყო მე რომ გასაყიდი რამე მქონდა. მისდღეშია ყველაფერი საყიდელი მაქ. რავა, არ იცი კაცო რაშია საქმე!? ჯერში ხომ არ გძინავს შენ ოჯახ აშენებულო! რა მიმაქ **და კაი ერთი ფუთი ფქვილი, ერთი ბათმანი გაცეხვილი ღომი, ერთი ფუთი კარტოფილი, პაწაი თხილი, ისე ნიგოზი და რაცხა—რაცხები.**

ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲐ! ახრებული კაცი ხარ ღმერთმანი ესიკავ! რუმ გადამაღრისე გულზე, რეიზა არ იტყვი ვისთან მიგაქ მაი ძღვენი!

ᲔᲡᲘᲙᲐ! უუშენდებიან ოჯახი, მე ძღვენი არაკაცს არ მუუტანო! შენგან არ მიკვირს კაპიტონა მაგი? განვითარებული კაცი გქვია, რომ კაცმა თქვას ახლა და, მაგი რეიზა არ იცი, სათ მიმაქ აგი ჭინახული? განგებე არ გითხარი ამდენ ხანს, იქნება მიხვდეს მეთქინ, ახლა კი უნდა გითხრა: სათ მიმაქ და თემის კანცალარიაზე! კაცო ფრონტიზა და ჯარებიზა რუმ ვაგროვებთ ჭინახულს, გაგაეწყდა?

ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲐ! ოი, დასწყეველოს ღმერთმა! რავა გამავიწყდა! გამავიწყდა კი არა, მაგაზე ვფიქრობ სულ მარა, კაცო, აგი დაკვირთული ცხენი რომ დავინახე, კი ვერ მევიფიქრე, ისე გადემეფარა რაცხა ჭკუაზე, მარა უფრო იმიზა ვერ მოვედი გონში, რომე შენ ამდენხანს მიიტანე მეგონა ჯარის გასაგზანი სიმინდი... ყოჩაღ ბიჭო, ესიკავ, მალადეც ძმაო, ძაან დაგიკვირთავს ცხენი. ასე უნდა მე და ჩემმა მზემ! ქე არ გავკვირდი! მარა იმიზა ვერ მევიფიქრე, რომ ვერ წამომ.ედგინა, თუ ამდენს გეიმეტებდი აგი ხელმოკლე კაცი ჯარიზა; რომ დავინახე აგი დაკვირთული ცხენი, ვიფიქრე, ესიკას რაცხა ძაან გაკვირებია და საცხა გასაყიდათ მიაქ სიმინდი მეთქინ.

ᲔᲡᲘᲙᲐ! ისე გუუკვიროს მამა ზეციერმა ღმერთმა ჩვენს მტრებს და ავის მდომელს მე რუმ გაკვირებული ვარ ყოველთვინ. სიმინდი ჩემს სიცოცხლეში საყიდელი მაქ; მარტამდი და ხან აპრილამდი თუ მიმყვება, კაი ბედნიერება არის იგი ჩემდა, მარა, რავქნა, ასე მივათრევ მუდამ ამ გაძღლებულს სულს, მარა მაინც გულს არ ეიტეხ, კაი დროი რომ დგება, აგი ძაან მიხარია, და არ მინდა მტრებმა ძალით წაგვახთინოს... ხო, და! რაც მართალია, მართალია ძმავ, სულს არ დევიშურავ ოღონდ აგი ჩვენი ქვეყანა არ ვნახო აფორიაქებული, საქართველო კი მინდა ძამიავ, მტერის ჯინზე გადარჩეს დანგრევას სულს ამევიძრობ და ჩვენ ჯარს აფერი არ მინდა მოაკლდეს... იმ გიდლის კუშტულა ქუდიან, გაწითლებულ, დამშეულ რუსებს ნუ დამანახებ აქანე და ცოლშვილს გავყიდი და რაც შემიძლია, ისე დევეხმარები ჩვენს ჯარს. მართალი გითხრა, აბა, სად მაქ გასამეტებელი ჭინახული, ჩემი ბაღნები ზაფხულში ტყვმალით, მარწყვით და ბალით ირჩენენ თავს, მარა ჩვენი ჯარიზა დავზოგავ რამეს?! მე სახლში ვიყო არხეინად და იგინი იქინე ცივ იაკობებში იჯდენ და საქმელი რუმ შიაკტეს, რაფერ ეჩხუბონ იმ აუარებელ მტრებს, მამლაყინწებივით რომ მოდგომიან საქართველოს ყოველ მხრით და კუჭი უკაკანობენ. აი, გაუწყრეს იგენს ღმერთი, რა ოხერი ხალხი ოვენია, ამდენხანს იხლაფორთეს; შიგნით მუვაწყობთ გადატრიალებას და ოვენს გარედან შამეეიპაიჯებთო, მარა, იმდენი ტეინი გადუტრიალდეს იგენს, რამდენი იგენმა ვერ გადაგვატრიალონ...

ქვაბლის პოლეტარები გინდა გადატრიალდენ და გინდა გადმოტრიალდენ, და სხვაი აღარაკინ უჯერის ახლა მაგენს. სულ ასე ფუჩუნობენ: აი, ერთი კვირე და ყველაფერი ჩვენ ხელში იქნებაო, მარა ბარე ათასი კვირე გამეიარს და მაგენის თავი შერცხვა იმის მეტი, რაც მაგენმა ჩვენში ვეფერი ვერ ქნან, ვერაკაცს ვერ დააჯერებენ და ვერც შეაშინებენ აწი მაგენი... ჩვენი სკვინჩალიე, შრინგი ბიჭები კარგად გვყავდეს ჯარში, იგენს ნუ მუამშიეებთ და ნუ შეეაციებთ და მაგენს დედას უტირებენ სულ თუ გაბედეს და დეიწყეს მისებურათ.. ხო, და, ამიზა, ჩემო კაპიტანა, ამიზა არ მშურს არაფერი, ოღონდ გიდლის კუშტულებიანი არ დევინახო ჩვენში.

ᲚᲣᲙᲐᲘᲔᲡ ᲝᲑᲝᲚᲘ.





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

ქვრივი. ხადხნო, დაიცათ, წაიდეთ ჩემი წიდაც! ქვრივი რომ ვარ კანა იმისთვის უნდა შეგრცხვე თემის წინაშე! ჩემი ერთად-ერთი ბიჭი ჯარში არ მიიდეს, გვარდიაში ჩაეწერა, ფორონტს სდარაჯობს... წაიდეთ, თქვენი ჭირიმეთ, ნუ შემარცხვენთ; მეც ქართველი ქალი ვარ, ეს ქვეყანა ჩემიც არის. იწამეთ დმერთი...

„ეშმაკის მათრახი"

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ეღირება 50 მან.

ქურნალში დაიბეჭდება **განცხადებები**

რედაქციაში შეიძლება შეტანა დღემდე გამოსული ნომრების. ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღია 9—2 საათამდე.

საქართველოს სახალხო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია